სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

67750060953513

# საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

## რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

# N131004711

რეგისტრაციის თარიღი

24.09.2013 წ

ნოტარიუსი: თინათინ დევდარიანი
მისამართი: ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39
ტელეფონი: 229-35-11

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი

საქართველო                                                                                     ქ. თბილისი

ორიათასთცამეტი წლის ოცდაოთხ სექტემბერს მე, ნოტარიუს თინათინ დევდარიანს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ.თბილისი, ირ. აბაშიძის №39, ბინა №23-ში მომმართა *გივი ხურცილავამ (დაბადებული 05.04.1956წელს თბილისში, პირადი №01008022931)* და განაცხადა, რომ არის *შპს „იკორთა 2007"-ს (განაცხადის №637941 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №B13070608, ამონაწერის მომზადების თარიღი 16/07/2013, საიდენტიფიკაციო №205216327 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 30/07/2007) დირექტორი* და გამოხატა სანოტარო აქტის (მინდობილობის) შედგენისა და მისი სანოტარო წესით დადასტურების ნება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად *გივი ხურცილავამ* მომმართა. ასევე მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და მინდობილობის შინაარსი, შემდეგ შევადგინე მინდობილობა, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მას. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. მან წაიკითხა მინდობილობა და მკაფიოდ განაცხადა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი შემდეგ მინდობილობას:

მინდობილობა

ორიათასცამეტი წლის ოცდაოთხ სექტემბერს *გივი ხურცილავამ, როგორც შპს „იკორთა 2007"-ს დირექტორმა* წინამდებარე მინდობილობით *ალექსანდრე კალანდაძეს (დაბადებული 12.01.1990წელს თბილისში, პირადი №01017039579)*, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

*შ.პ.ს. „იკორთა 2007"-თან დაკავშირებით იყოს მისი წარმომადგენელი ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობებში, სანოტარო ბიუროში, მერიასა და მის სამსახურებში, ყველა კომპენტენტურ ორგანოებში, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრის სამსახურში და საბაჟო სამსახურებში, შეუზღუდავად ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა იმ უფლებით, რომელიც მინიჭებული აქვს* **გივი ხურცილავას წესდებით,** *როგორც დირექტორს, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტებს, ხელშეკურლებებს, კრების ოქმებს, აწარმოოს მოლაპარაკებები, დადოს ხელშეკრულებები, შეაგროვოს წარადგინოს და მიიღოს საჭირო დოკუმენტები. იყოს შპს „იკორთა 2007" სს წარმომადგენელი „საქართველოს ბანკ"-სა და სს „ბანკი რესპუბლიკა"-ში და მართოს და განკარგოს შპს-ს სახელზე გახსნილი ნებისმიერი ანგარიშები, შეიტანოს, გამოიტანოს თანხა, შეამოწმოს და მოითხოვოს ანგარიშების ამონაწერები, განახორციელოს გადარიცხვები, კონვერტაცია, მინდობილი უფლებამოსილია აწარმოოს უნაღდო და ნაღდი ოპერაციები, მიიღოს ცნობები და ამონაწერები, დაამზადოს ყველა სახის საბანკო დოკუმენტი და მიიღოს ეს დოკუმენტი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი იქნება ბანკიდან ფულადი თანხის მიღება, ინტერნეტ ბანკინგის გამოყენება, აწარმოოს ნებისმიერი სახის საბანკო ოპერაციები, ხელი მოწეროს ნებისმიერ ხელშეკრულებას, მათ შორის საბანკო კრედიტის ხელშეკრულების გაფორმება, ასევე იყოს მისი წარმომადგენელი საგადასახადო ორგანოში, შეიტანოს განაცხადი ელ. დეკლარაციის მომსახურებაზე, დარეგისტრირდეს ინტერნეტ-ბანკის მომსახურებაზე, წარადგინოს და მიიღოს ნებისმიერი სახის დოკუმენტაცია, მათ შორის ელ. დოკუმენტაცია.* ასევე შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

ეს მინდობილობა გაცემულია ხუთი წლის ვადით.

ეს მინდობილობა შედგენილია ოთხ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი რჩება ნოტარიუსის, თინათინ დევდარიანის, სანოტარო არქივში.

*დანართი: (განაცხადის №637941 განაცხადის რეგისტრაციის ნომერი №B13070608, ამონაწერის მომზადების თარიღი 16/07/2013, საიდენტიფიკაციო №205216327 სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი 30/07/2007).*

გადახდილია საზღაური *10.00 (ათი) ლარი*, 2011წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების, **„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ"** და 2 ლარი „სანოტარო რეგისტრაციის საფასური" ზემოთმითითებული კანონის 39-ე მუხლის მოთხოვნით, ასევე საქართველოს საგადასახადო კოდექსის მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად 1.80 ლარი დღგ, სულ 13.80 (ცამეტი ლარი და ოთხმოცი თეთრი) ლარი.

| | |
|---|---|
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი | N141018714 |
| სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი | 18.09.2014 წ |
| სანოტარო მოქმედების დასახელება | დოკუმენტის ასლის დამოწმება |
| ნოტარიუსი | თინათინ დევდარიანი |
| სანოტარო ბიუროს მისამართი | ქ. თბილისი, ი. აბაშიძის ქუჩა N39 |
| სანოტარო ბიუროს ტელეფონი | 229-35-11 |
| სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი | 29113336913914 |

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

# სანოტარო აქტი

საქართველო

ქ. თბილისი

მე, ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ირ. აბაშიძის ქ. №39, ბინა №23-ში ვამოწმებ, წინამდებარე ფოტოასლის შესაბამისობას მის დედანთან. დამოწმებულ ფოტოასლში ამოშლილი, ამოფხეკილი, მიწერილი, გადახაზული (გადაშლილი) სიტყვები, წინადადებები და სხვა აღუნიშნელი გასწორებანი ან რაიმე თავისებურებანი არ აღენიშნება.

2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507 დადგენილების „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ", 31-ე მუხლის შესაბამისად 1,00 ლარი და დ.ღ.გ. 0.18 ლარი. საქართველოს საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა შესაბამისად სულ 1,18 ლარი

ნოტარიუსი თინათინ დევდარიანი